

"ჩვენ ვართ სვანეთი" - ქუთაისში გამოფენა გაიმართა

radiodk.ge/akhali-ambebi/sazogadoeba/article/13914-chvenvarthsvanethiquthaisshigamofenagaimartha

საზოგადოება

"ჩვენ ვართ სვანეთი" - ქუთაისში გამოფენა გაიმართა

18:13 / 27.12.2016

ქუთაისში ჩაის სახლში ესპანელი ფოტოგრაფის როზა ვრუმის ფოტო გამოფენა გაიმართა. მან ფოტოებზე ზემო სვანეთის რეგიონის, ნაკრასა და ჭუბერის თემების მცხოვრებთა ყოფა და ბუნებრივი გარემო ასახა.

"გამოფენის მიზანია წარმოადგინოს ადგილობრივი სვანი მოსახლეობის ყოფისა და გარემოს მდგომარეობა. ენერგეტიკის სამინისტროს აქ აქვს დაგეგმილი დიდი და მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა. ზემო სვანეთში დაგეგმილია 35

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც უშუალოდ ამ ფოტოებზე

წარმოდგენილ გარემოს საფრთხეს უქმნის, 280 მგვტ სიმძლავრის ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურია.

ჩვენ გვინდა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დაინახონ, რომ ამ პროექტის უკან ადამიანები და ბიომრავალფეროვნებით მდიდარი გარემო დგას,"-განაცხადა ასოციის "მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენელმა, დავით ჭიპაშვილმა.

გამოფენის ორგანიზატორი იყვნენ "მწვანე ალტერნატივა" და "საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია".

გააზიარეთ :



